

გაზეთის ფასი

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში: მართის წლისა — 7 მან. — 6 მან. ნახევარის წლისა — 4 — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 — კალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური. „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

საქართველოს მთავრობის მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძანის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიბერალურ გაზეთი.

შინაარსი:

მმართველობის განკარგულება. — სემონ ანდრონიკოვის საქმე. — პოლიტიკა: ისპანია. — იტალია. — ამერიკა. — ტელეგრაფები. — სქართველო. — პრიტიკა. — სხვა და სხვა ამბავი.

მმართველობის განკარგულება.

შედეგად ბრძანებით მისი იმპერატორების დიდებულებისა, თებერვლის 22, დამტკიცება მთავრის ვიცე გუბერნატორათ ნადვორნი სოვეტნიკი ბარონი შონდერ-მსტენ-საკენი.

თბილისი, 12 რიცხვა ამა თვისასა ტფილისში

ში მოხდა იშვიათი მღელვარისა და ყოველთვის ამოცანის ქალაქისათვის, წესი აღკვეცისა მონაზონობაში; ის აღსრულდა საქართველოს გენერალის სასახლის ეკლესიაში. აღიკვეცა მონაზონად ქერიევი წერტილისა, კნინა მეთევან, ასული თავადის ჯავახიასა; იმან დიდი-ხნიდან გამოირჩია სურვილი განშორებულიყო ამო სოფლისაგან და ამისა გამოისობით რაოდენსავე წელს განუშორებულად სცხოვრებდა ისა მცხეთის სობოროში. წესი აღკვეცისა, ეკლესიური წეს-დებულებითა, აღსრულდა ყოველ-სამღვდელთა აღიკვეცისა და სკოპოსმა აუგზანეთისა, სადაც იყვნენ შეკრებილ მრავალნი პირნი ორისავე სქესისანი, განსაკუთრებით ერთ-მემაჟღერნი თავადნი და აზნაურნი, რომელნიცა მსცხოვრებდნენ ქალაქში. ახლად აკვეცილს სახელი ეწოდა ნინა; ამასთანავე ეპისკოპოსმან უმგზავრა მას სამოდერებელის შესწმითა ქართულს ენაზედ.

ანდრონიკოვის საქმის წარმოება სენატში.

— თაისი დროზე ჩვენ ვაცნობთ პუბლიკას თბილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება ანდრონიკოვის საქმეზე, რომელიც ჩავგდათ გამოძიების ქვეშ ქალის მოტაცების გამო; ანდრონიკოვი ოლქის სამსჯავროთი თითქმის გამართლებული იყო, და სამოსამართლო პალატამ კი დასაჯა ყოველი ხარისხისა და ქონების ჩამორთმევით და გაგზავნით კატორგაში სამუშაოთ. ქალის დეპარტამენტის სამსჯავრო განყოფილების ნაწილში უნახავთ ჩამოკიდებული საქმეების სია და იმაში ანდრონიკოვის საქმე ყოფილა დანიშნული გასარჩევით თებერვლის 27-ს. ამ რიცხვს კასაციის დეპარტამენტს გაუშინჯავს საქმე და ანდრონიკოვის ჩივილი არ შეუწყნარებია.

— ამ ცოტა ხანში გაზეთებში იყო ცნობა, რომ ვითომც სამდღეარს გარეთ რომ „ზარება“ (Колоколы) სცემდა, უ. გერცენი ცდილობს შენაში რუსის საელჩოს მღვდელთან რავესკისთან, რომ მისცენ იმას რუსეთში დაბრუნების ნება. როგორც ბოლოს შეეცდეთ, ეს ამბავი არ დამტკიცდა. ნამდვილი მხოლოდ ეს არის, რომ უფ. გერცენის შეიქმნა, რომელსაც ახლა შლორენციაში ფიზიოლოგიის პროფესორის კაფედრა აქვს, სხვა მმართველობას რუსეთში დაბრუნების

პოლიტიკა.

ისპანია.

ისპანიაში რევოლუცია ახლა თითქმის ათავეებს თავის საქმეს. თუმცა პირველში რევოლუციას ემდურებოდნენ, რომ საქმე დაგვიანაო და ისპანია სერანოსა და პრიმის ხელში უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, როგორც იყო ნარევეცისა და ბონაპარტის ხელში, მაგრამ ეს ბრალი შემდეგში დროებითა მმართველობამ სრულებით აიხადა. მართალია პირველში ძალიან შესცდა დროებითი მმართველობა, რომ მაშინვე არ შეჰყარა დამაწყესებელი კრება; ამითი დროებითმა მმართველობამ ხალხში ჩავგდა ბევრი ეჭვი და იმიტომაც დაიწყეს ერთმანერთ შუა ომი ძალიანსა და მალაგაში. მიღრე ბურბონების პარტიებმა, სამღვდელთა და სხ. არ დაიწყეს რევოლუციის წინააღმდეგი მოქმედება, მანამ დროებითმა მმართველობამ არ მიიღო ჯეროვანი საშუალება.

მაგრამ მოხდენილებამ გაამტყუნა ისინი, ეინც აბრალდნენ სერანოს, რომ ისა ცდილობს სახელმწიფო მოიყვანოს უკანასკნელს აღრულობაში და დაიჭიროს თითონ უზენაესი უფლებათა. დამაწყესებელი კრების მოწყვეტის დაგვიანება თუმცა შეცდომა იყო, მაგრამ დროებითი მმართველობა მაინც გულწრფელათ მოქმედებდა. ის უთოთ იმას უცდიდა, რომ მხარე ჯერ პატარა დამშვიდდეს; იმას სწავდა, რომ სეკტემბრის რევოლუციისაგან არეულობა დამჯდარიყო ჯერა და მერე ისე შესდგომოდა ისპანიის მოწყობასა. ამ გვარი მოქმედება არ არის გონიერი: ლოდინისაგან ხალხი კი არ დამშვიდდებოდა, უფრო დიდს არეულობაში შევიდოდა, მაგრამ მაინც მიზეზი არა გვაქვს მივიტანოთ დროებითს მმართველობაზე რამ ეჭვი. ამას რომ სწავდებოდა მართლათ თავიანთი რამ სასარგებლო, მაშინ ადვილათ ასრულდებდნენ კიდევ; ამათა ჰქონდათ დროცა და ლონცე: ჰყვანდათ აგენტები ბევრგან და ჯარიც ამათ ხელში იყო. ამათ შეეძლოთ სრულებით არ მოეწვიათ დამაწყესებელი კრება და არც დაეთმოთ იმათთვის უზენაესი უფლება, რომელიც ისპანიის ხალხმა პირველში დროებითს მმართველობას ჩააბარა. ამის მაგიერ დროებითმა მმართველობამ მოიწვია ხალხის წარმომადგენები, გადასცა უზენაესი უფლება ისპანიის გასამართლებლათ და სთქო, რომ ყველა კრების გადაწყვეტილებას დამონადებდა. მართის სიტყვით, დროებითს მმართველობას შეგვიძლიან ბევრი შეცდომა უბოვოთ, მაგრამ ვიწრო თემოყვარებას კი ვერ უბოვოთ, რომ ვითომც იმათა სწავლადეთ უზენაესი უფლების დამკვიდრება თავიანთხედ.

რაც ზევითა ესთქვით ისპანიის რევოლუციის მაწარმოებელთ პირებზე, ის მომა-

ტებით ეკუთვნის უფრო ზომიერს, ერთგულს და ვაჟკაცს მარშალს სერანოს, ვიდრე პრიმს, რომელიც სერანოზე უფრო ყოჩაღი, ვაჟკაცი და მსწრაფ მოქმედი. სერანო ისპანიის ისტორიაში იქნება დახატული 1868 წლის რევოლუციის გამართ. მოძრაობის პირველში ეგონათ, რომ პრიმი არის თავიო და იმისაგანა ჰქონდათ იმედი ისპანიის შემდეგი ბედის გამართვისა; სერანოს კი უყურებდნენ როგორც იარაღს, რომელიც იქმნება უფრო მოხერხებული და გამჭირავი ხალხის ხელში. თუმცა სერანოს წარსული აძლევდა ხალხს იმ უფლებასა, რომ იმაზე ეს აზრი ჰქონოდათ, მაგრამ შემდეგმა დამტკიცა, რომ კაცის ნამდვილი ღირსება გამოჰსჩნდება ხალხში ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში. ძლიერს, ადგომის დაწყების დროს, ალკოლის ხილთან, და მადრიდში შემოსულაში, როდესაც რევოლუცია ბედნიერათ გათვალა, პირველი გამოჩენილი პირი იყო სერანო; ეს იყო ურმათ ერთგული, მოაჩილი, მოსარიგებელი კაცი; თუმცა მონარხიული ფორმის მომხრე იყო, მაგრამ ხალხის ნებას კი პატივსა სცემდა და საჭიროების დროს მზათ იყო დამორჩილებოდა იმას. თუმცა პირველში ხალხი პრიმს უფრო პატივსა სცემდა და იმისაგან უფრო მოელოდა თავის ბედის მართვას, მაგრამ შემდეგში გაიგვს სერანოს ღირსება და მადგნენ იმას; ახლა სერანო არის პირველი გამოჩენილი კაცი არა თუ მხოლოდ სახელით, საქმიანაც და ბევრნი ახლავე ემხიან ისპანიის ლაფაიტს.

— შ დ რ ი დ ი, თ ე ბ ე რ ე ლ ი ს 27-ს. მოგვეყავს მეორე სიტყვა სერანოსი, რომელიცა სთქო დღეს კორტესებში:

„ჩემგან შედგენილს სამინისტროს სხვა არაფერი პროგრამა არა აქვს, ამ კრების ნების ასრულების შეე, რომელთანაც ცდილობს ყველაფერში იოს თანახმათ. სამინისტროსა სურს, რომ რეპუბლიკელები დამარცხდნენ ძალით კი არა, სიტყვით, დარწმუნებით. ჩვენ იმათზე ნაკლებათ არა გვსურს ჩვენი მხრის ბედნიერება. ჩვენ გვსურს იმათთან ერთათ მოეწვიენთ ამ ბედნიერებასა. როდესაც მმართველობა მოიწვიანებს კანონის პროექტის წარმოდგენას, ყოველთვის მოსთხოვს ნებას კორტესებს; ამ გვრათ ყოველთვის ჰკითხავს ჩვენს იმ საქმეებში, რომელიც არიან მხარისათვის სასარგებლონი. მმართველობას ძალიან სურს, რომ ისპანია მალე მოეწყოს ყველას ხმის მიღებათა, და მალე მოშორდეს იმ მდგომარეობასა, რომელიც იმყოფებოდა ჯერე—გაუმართავნი ხალხნი. მმართველობა არის დაწესებული კორტესებისაგან და ამიტომ მკვიდრი კავშირიცა აქვსთ ერთმანერთთან. არა გვარი განკუთვნი ვერ გამოგვიყვანს ჩვენ ზომიერობისაგან. რადგანაც იმისი საქმე მართალი არის, ამიტომ არაფერ ღონისძიებას არ მიიღებს, რომ თავისი ადგილი მაგრათ შეინახოს. ეს არის სამწუხარო, რომ ძალიანსა აბუტების ცოტა წინ მოხდა არეულობა ძუბაზედ, რომლის გამო ვერ მივეციტ ჯეროვანი ნაწილი თავისუფლებისა ანტილის კუნძულებსა, რომ ამ კედლებში გვენახა ჩვენი კუნძულების წარმომადგენლებიცა. მაგრამ მმართველობას მალე მიეცემა შემთხვევა, რომ

თავისი აზრი ასრულოს. ის კი მართალია, რომ პირველი ცდა კუნძულის დამშვიდებისათვის ვაჟკაცდა. ბენერალ-გუბერნატორმა პირველში მისცა ბეჭედისა და ყრილობის (сходки) თავისუფლების ნება, მაგრამ მერე ისევ დაშალა თავისი განკარგულება. მაგრამ ჩვენსა გვესურს ანტილის კუნძულებს მივსცეთ თავისუფლება. მმართველობამ უნდა წარმოგიდგინოთ მთელი რიგობა ეკონომიური რეფორმისა; მხარეს არ დაუშალაო, რომ ესენი იმისაგან მოინდომებენ ბევრს მსხვერპლს; თავისუფლება, სახელი და პატივი უმსხვერპლოთ არავის მისცემია. მმართველობას არ ეშინიან თავისუფლებისაგან; იმას უნდა, რომ ყველა მალლათ აღვიარებდეს თავის აზრს, მაგრამ რიგიანობას—ამ პირველს თავისუფლების გარანტიას კი თხოულობს. ისა თხოულობს, რომ მოქალაქენი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რომელიც კანონებით ადევთ. მიზრუნოთ ყველა, რომ ისპანიას ჰქონდეს თავისუფლება, რომელიც არის ძლიერი და განათლებული ხალხისათვის საჭირო; იმასაც ვეცადნეთ, რომ ყველა თავისი ვალი ასრულოს, რომელიც არის საჭირო სამეფოს რიგიანობისათვის. მხოლოდ ამ გზით მივა ის კეთილს მდგომარეობაში და ბედნიერებაში. მე არაფერ პროგრამას არა ვეძებ, ამიტომ რომ ჩვენთვის საჭირო არ არის ცარიელი სიტყვები; მე მხოლოდ გთხოვთ, რომ იგრძნოთ ყველა გაჭირება, რომელიც გამოვიარეთ; ყველა ცდა, რომელიც ჩვენ მივიღეთ. მე გთხოვთ დამიჯეროთ, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით ღირსნი ისპანელების სახელისა, თუ რომ არ გაგვემართლებინა ჩვენი პატივისცემა და არ დაგვებოლოებინა რევოლუციის საქმე ისევე კარგათ, როგორც იყო დასაწყისი, (ტაშის ყვრა).

— აქაური „სახალხო გაზეთის“ კორრესპონდენტი სწერს: კორტესებში ყველა მინისტრებზე კარგათ სერანოს უჭირავს თავიო. იმას თითქო სრულებით გაუგია ის მოვალეობა, რომელიც სდევს ახლანდელს ხარისხში. პირდაპირ ამბობს, რომ კანონების დამაწყესებელი კრების კეთილმოყვობისაგან უფრო ვარ მომლოდინე, ვიდრე ჩემი პირველი სასახურისაგანაო; არც თუ გამოსულა მოთმინებისაგან მოწინააღმდეგებთაგან. სულ სხვა გარემოებით არის იმისი ამხანაგი, გენერალი პრიმი. ამან თუმცა სთქვა ყველას სასიამოვნოთ, რომ ბურბონების ისპანიაში დაბრუნება შეუძლებელი არისო, მაგრამ როდესაც თავს იმართლებდა იმაში, რომ ვითომც იმას უნდოდა ტახტზე აეყვანა თავისი კანდიდატი, ან დიკტატურა თითონ დაეჭირა ხელში, მაშინ იმისი სიტყვებიდან ჰსჩანდა, რომ თითქო იმაზედ არის დამოკიდებული ისპანიის ბედო. მერე ქასტელიარმა მისცა ერთი სასტიკი შენიშვნა, რომელზედაც პრიმი უპასუხა, რომ დიდი ლიბერალიზა და მოთმენა უნდა ოპპოზიციის ყოველდღე ჩხუბით ლაპარაკსაო. ქასტელიარმა ყველას მოწონებით უთხრა, რომ იმას არა აქვს უფლება გამოიჩინოს მოუთმენლობა და უნდა იყოს მორჩილი კორტესებისა. შინაგან საქმეთა მინისტრი, საგასტა, უფრო ცუდათ ლაპარაკობდა. ისიც ხმა მალლივ უჩიოდა ბეჭედსა. მაგრამ იმას ამოუჩნდა ღირსეული წინააღმდეგი ოპპოზიცი,



ხორისტში, რომელმაც დაუმტკიცა, რომ ფაქტებსა რეეს და ოპოზიციის ბეჭედას არაფერი სასტიკობა არ მოუხმარებიათ; ისიც დაუმტკიცა, რომ თითონ საგანსა უფრო სასტიკი იყო პირველ მმართველობასთან, ვიდრე ახლანდელი ოპოზიციელები. შინანსის მინისტრიც შეგვაროლა თავის მოქმედებას უფრო ამართლებდა, ვიდრე ესარჩლებოდა; მაგრამ იმისი წადილი ფინანსის საქმის გადასატანათ სხვა ასპარეზზე და ლაპარაკი წინააღმდეგ სოციალური და კომუნისტური რესპუბლიკელებისა ვერ ასრულდა.

ბარცელონა, თებერვლის 25-ს. აქაურ არეულობაზედ გავითი „Siecle“ გეგნობებს შემდეგს გარემოებაებს: ცოტას გადარჩა ბარცელონაში ამ დღეებში არ მოხდა ისეთი არეულობა, რომელსაც ექნებოდა ძალიან მანებელი ბოლო. ეს რამდენიმე ხანია, რაც ისმობა, რომ ვიღაც უწინდელი კარლისტების ჯარის აფიცერი მირალტა, გახდა მომხრეთ უზომო რესპუბლიკელებისა და სოციალური აზრებისა. ეს ამოიჩინეს დემოკრატიული კლუბის თავმჯდომარეთ და დაიწყო ძალიან საშიშო აზრების ქადაგება. ჰგონიათ, რომ ეითომც იმისი რჩევით ქუბაში წამსვლელი ვოლონტერებს უშლიდნენ იქ წასვლას; გარდა ამისა, იმისივე აზრით ბარცელონის გარნიზონის სალდატებსაც აორგულდებდნენ და რომელი ჯარისკაც სდებოდა გემებში, ქუბაში წასვლელათ, იმათაც უშლიდნენ წასვლას. ამითა ჰქონდათ განზრახვა, რომ 24 თებერვლის ღამეს სოფლის დებუტატები და ქალაქის ერთად შეერთებულიყვნენ და დაეწყათ მოძრაობა. პირველათ საცა ქალაქის ვოლონტერები იყვნენ იმ კაზარმებს უნდოდან დასცემოდნენ და წაერთმევიანთ იარაღი; მერე სობოროში სდომებიათ მისვლა და ნაბათის დაკვრა, ქუჩებში ბარბიკადების გამართვა, ბანკის გატარება; იმათ სდომებიათ აგრეთვე რეაის მდიდარი სახლობისათვის ქონების ჩამორთმევა, რომლების სია შემდეგ ამათ უპოვეს. ბოლოს უნდოდან გაემართათ ქალაქისა და სოფლების რჩევები და თანადებობაები; ადგილებიც თავიანთი პარტიის ხალხისათვის უნდა მიეცათ და გაემართათ ფედერატიული (წარმომადგენლობითი) და სოციალური რესპუბლიკა. მაგრამ თანადებობაებს ეს ყოველი გაეგოთ და რიგზედაც წაყვანათ საქმე, ასე რომ მოქალაქეთ დღეს ძლიერ გაიგეს ეს ამბები. მოლონტერებს და ჯარს საჭირო ბანება მისცეს, სობოროსთან და საზოგადო ალაგებში ყარაულები მიუმატეს და ქალაქის კარზედაც მცველები დააყენეს; ვოლონტერებიც დააყენეს სხვა და სხვა სახლებში და ტერრასებზედ. მერე განზრახებულებმა რაკი დინახეს, რომ იმათი აზრი შეუტყვიათ, მაშინვე დაიფანტნენ. ოცდაათი კაცი იმათგანი ერთს ადგილს დაიჭირეს თოფიარაღით ხელში. ღღეს მირალტაც დაიჭირეს და გუბერნატორს წარუდგინეს. მცხოვრებნი სულ მშვიდობიანათ იყვნენ. ბევრი მოქალაქე მოვიდნენ მმართველ პირებთან და უთხრეს გვიშველიეთ რასმეზო. დემოკრატიების კლუბის წარმომადგენნი თავიანთ წევრებს ურჩევდნენ, რომ ზომიერებაში ყოფილიყვნენ. ღღეს ყველა იმათგანმა გამოაცხადეს პროტესტი, რომელშიაც აღვიარეს, რომ ჩვენა გვეყადს რიგიანობის დაცვა. უზომო დემოკრატიების გახეთქილად კათოლიკების ორგანიზაციის ჰქიცხაკენ განზრახულებს. დატუსაღებულები გავზანეს მონაქუის ციხეში და ამ საქმეზე გამოძიებაც დაიწყეს.

**იტალია.**

ნეპოლიტანის სამოსამართლო პალატაში იყო განხილვაში შემდეგი საქმე: ვილასაც ლუიჯი პერელის ეთხოვნა ხალერნოში ერთი ახალგაზდა ქალი, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაეშალა, რომ იმათ სამოქალაქო ქორწინდი შეედგინათ, რადგანაც სასულიერო

წოდებას ნება არ მიეცა. მერე ლუიჯი პერელის საქმე გადაიტანა ნეპოლიტანის სამოსამართლო პალატაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სრულდებით ახალი საქმე კათოლიკების მიღების ქორწინებაზე. ამ საქმემ გამოითხოვა საერთო ინტერესი არამც თუ მართო ნეპოლიში, მთელს იტალიაშიც. რომელსაც უნდა გამინჯულიყო საქმე, იმ დღეს პალატის ზალაში, კარიდაროში და შესაყალში ძალიან ბევრი ხალხი ირეოდა. პერელის ადვოკატი უფრო იმაზედ აფუძენებდა თავის ქომაგობასა, რომ ყველა მოქალაქე იტალიაში, თუნდა საერო და თუნდა სამღვდელი, არიან კანონის წინაშე თანასწორნი; ამიტომ სასამართლო ყველა საქმეს უნდა ჰსჯიდეს სამოქალაქო კანონებით და იმას სრულდებით არ უნდა უყურებდეს, თუ ვის რა საჩუქრებია და რწმუნება აქვსო. შამისოთ ჩვენში სარწმუნოების თავისუფლებას არაფერი მნიშვნელობა არ ექმნებაო. როდესაც ის დამტკიცებად დაიწყო, რომელიც ყოველთვის მოჰყავთ მღვდლების უცოლოობის წინააღმდეგ, მაშინ შენიშნა, რომ უცოლოობა არის ბუნების წინააღმდეგი და თითონ იესო ქრისტესაც ყველა მოციქულები ცოლიანები ჰყვანდა, ორის გარდა, — პავლესი და იოანესი. აღთქმა უცოლოობისა მღვდლებოთათვის კათოლიკებში შემდეგ დაიწყო, როდესაც ინოკენტი, შრიგოლ და სხვა უზომოთ მეუფობის მოყვარე პაპები იყვნენ, და რომელიც ცდილობდნენ, რომ თავიანთ ხელქვეითნი ყოფილიყვნენ ყოვლის მხრივ შევიწროებულნი იმათგანაო. მსენი ცდილობდნენ, რომ მოეკლათ მღვდლებში ყოველი მოთხოვნილება სხეულისა, სულია და თვით ზნეობითი გრძობაცა. მაგრამ იმ დროებამ განვლესა მოუხედავით, და საზოგადოება აღარა ნდომობს უცოლო სამღვდელსა, რომლისათვისაც ძნელია ზნეობითი შემარება, ვიდრე იქნება ამგვარ გარემოებაში. მომაგობა წინააღმდეგის მხრისა ძალიან სუსტი იყო. იმისი ადვოკატი უარობდა იმის განხიჯვას, რაც ქრისტიანობის პირველ დროებში ხდებოდა, ამიტომ რომ მას შემდეგ გაეგოთ თითქმის 2000 წელს; ის მხოლოდ იმას ამბობდა, რაც შემდეგ დაწესებინათ. ეს დაწესებები არიან მიღებულნი ეკლესიისაგან და სახელმწიფოსაგანაცაო. შოველი ამ კანონების დარღვევა ხალხს მიყენებს უბატურობასა და აღარც იმ მღვდელს მიიღებს, რომელიც მოძღვრობს და ცოლსაც და შვილებიც ჰყავსო. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნოდა პროკურორსა, რომელიც მხურვალეთ უმტკიცებდა პალატას, რომ რაც ეკლესია სახელმწიფოს გამოარდა, მას აქეთ სასამართლომ უნდა გაჰყოს სამოქალაქო საქმე საეკლესიოსაგან, და სასულიერო წოდების ხალხს ისე უნდა სჯიდეს, როგორც სხვა მოქალაქეებსა, რადგანაც ორთავენი ერთის მოვალეობით არიან კანონთან და ერთისავე სიმაართლით; სასამართლოს მასხადამე არ შეუძლიან დაუშალოს ვისმე, ვინც გინდა იყოს, სამოქალაქო ქორწინებაო. რაც კი შეეხება ხალხის სარწმუნოების გრძობის გალანძღვას, მე არ მისმის; ნუ თუ მიღდის კანონიერი ქორწინება უფრო გათანადეს ამ გრძობას, ვიდრე იმისი გარყენილება და მრუშებაო. პროკურორის უკანასკნელმა სიტყვებმა, ამბობს ნეპოლიტანის კორესპონდენტის „Times“ ისეთი ტანის კერა გამოითხოვეს პუბლიკისაგანაო, რომ მღვდლები და კლერკალები ამოათა ცდილობდნენ დაეყენებინათ ეს იმათთვის უსიამოვნო დემონსტრაციაო. ჯერ სასამართლოს გარდაწყვეტილება ამ საგანზე არ შემდგარა, მაგრამ ცხადია როგორც უნდა იყოს; მაინც იტალიის პუბლიკა მოუთმენელათ მოემოვინებს როგორ გადასწყვეტა ეს საქმე. თუ პერელის ქორწინებას დაამტკიცებს პალატა, მაშინ კათოლიკების მღვდლების ქორწინება გახდება კანონიერი მთელს იტალიაში.

ნება გახდება კანონიერი მთელს იტალიაში. ამას ექმნება დიდი მნიშვნელობა არამც თუ მართო იტალიაში, არამედ ყველგან, საცა კი კათოლიკები იპოვებიან; მაშინ რომის პაპს თუმცა პირველში არ მისცემს ყველას ამ ნებას, მაგრამ ნელ-ნელა შეეცა კანონათ.

**ამერიკა.**

ვაშინგტონი, მარტის 4-ს. შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი, გენერალ ბრანტმა, დღეს გამოაცხადა შემდეგი პროკლამაცია: „მანამდე მუდღეობს! თქვენ ამომირჩიეთ რესპუბლიკის პრეზიდენტი. მე მივეცი კონსტიტუციისაგან დაწესებული ფიცი არა რომელიმე განზრახვით, მხოლოდ მკვიდრის წადილითა, რომ მე ყველა ავასრულო, რასაც მომთხოვენ და რაც შემეძლება. მე ვგრძნობ ჩემი მოვალეობის სიმძიმესა, მაგრამ ხელს ვკიდებ უშიშრათ; მე თითონ არ ვცდილვარ იმ ღმერთის მიღებისათვის, რომელიც მომცა ხალხის ნებათა. თავის დროზე მე ვაცნობებ კონგრესს ჩემს აზრს სახელმწიფოს დიდროს საქმეებზედ. მე დავადებ ჩემს „veto“ს ყველა იმ განკარგულებაებსა, რომელიც რომლისავე მიზნით მე მიგნებიათ უხერხოთ, მაგრამ ყველა კანონს კი მტკიცედ ავასრულებ როგორც უნდა იყოს: თუნდა ვიყო იმაზე თანახმათ, თუნდა არა. მე ვიქნები მომხრე რომელიმე პოლიტიკისა, მაგრამ იმას კი არ ვიზამ, რომ ხალხის ნებასაც დავატანო ძალა ჩემი პოლიტიკის მომხრეობისათვის. ძანონები ყველასაგან მტკიცეთ უნდა ასრულდეს: თუნდა მომხრე იყვნენ და თუნდა წინააღმდეგნი; მაშინ იქნება კარგი რომ ყველა მოჩივრებდეს კანონებსა, რომ რომელი კანონიც უხერხო არის, ის შემდეგში გამოიცილება და გასწორდება. ბევრი სხვა და სხვა საქმეები იქმნება განსჯაში ოთხის წლის განმავლობაში; კარგი ის არის, რომ ყველა გულწრფელათ და სისწორით შეუდგეს სჯასა, რადგანაც ამავდ არის დამოკიდებული კეთილმდგომარება ხალხისა. ჩვენ უნდა დავიცავთ რესპუბლიკის მოქალაქეთა და იმათი ქონების უშიშრობა; გარდა ამისა უნდა დავიცავთ იმათი პოლიტიკური და სარწმუნოების თავისუფლება. მე ჩემის მხრით ყოვლის ღონით ვიქნები იმ ცდაში, რომ დავამკვიდრო კავშირი ამ გზით. მხარეს აწეეს უზომო ვალი. ჩვენთვის საჭირო არის ვიზრუნოთ იმისი გადახდისათვის და მალე უნდა ავადგინოთ თეთრი ფულის მიცემა ვალში, ასე რომ არც ფულის პატრონთ მიეცეთ ზარალი და არც მხრის საერთო ინტერესსა. სახელოვანება გვხდის მოვალეთ, რომ ყოველს დოლარს გესხნი, რომელიც მმართველობას აუღია, მივსცეთ ოქროს, თუ აღების დროს სხვა რამ პირობა არ არის დადებული. რაც კი შეეხება უცხო ქვეყნებთან პოლიტიკას, მე ისეთისავე სიმართლით მოვიქცევი, როგორათაც უნდა იყოს კერძო პირებთა ურთიერთ შორის მიღწევილება. შევლგან, საცა კი იფრიალებს შეერთებული შტატების ბაიარლი, მე დავიცავ ჩვენ მოქალაქეთა უფლებებს, რომელიც იცავენ რესპუბლიკის კანონებსა; ამასთან არ დავიფიცებ აგრეთვე უცხო მხრების უფლებათაც. რადგანაც ჩვენ გვექმნება პატივისცემა სხვა ნაციების უფლებებისა, მაშინ მოვითხოვთ, რომ იმათაც ჰქონდეთ ჩვენი მოქალაქეთა უფლების პატივისცემა; და თუ გაჭირება იქმნება, მაშინ ძალასაც დავატანო, რომ სცენ პატივი. ინდევლებთან ისეთი პოლიტიკა გვიჭირს, რომელიც თხოულობს დიდს ჰსჯასა. მე ვიქმნები იმ განკარგულებაების მომხრე, რომლითაც იმათში გავრცელდება სწავლა და ქრისტიანობა, რომ შევაშალოთ იმათგან ამერიკის მოქალაქენი. მსურს, რომ შტატებმა მიიღონ ის გასწორება კონსტიტუციისა, რომელიც შეეხება აღმომჩველების უფლებასა, და იმედიც მაქვს, რომ მიიღონ. მე მსურს სიმშვიდე და ყველას მოქალაქეებსაც ეთხოვ,

რომ ერთმანეთთან სიყვარულით და ნიშნით იყვნენ; ეთხოვ რომ ისინიც მხურვალეთა ცდილობდნენ ყველასათვის სასურველი კავშირის დასაცველათ და ღმერთს ვეხვეწები, რომ მოგვანიჭოს ჩვენ ეს საქმე“.

— ნიუ-იორკიდან იწერებიათ, რომ ძანასის და ლუიზიანის შტატებს მიუღიათ კონსტიტუციის გასწორება, რომლითაც ნეგრებს ეძლევათ აღმომჩველების უფლება.

**ტელეგრაფები**

(თფილისში მიღებული.)

14 მარტს 12 ს. დღისა. ს. პეტერბურგი. შამალესის უქვით ბრძანებულია განახლდეს მოქრა სამ-მანეთიანის ღირსეულების ოქროსი 88 პრობისა, რომელიც უნდა შეიცავდეს 81 წილს წმინდა ოქროს.

15 მარტს 2 ს. 5 მ. დღისა. პეტერბურგის საპოლიციო უწყებებში გამოცხადებულია, რომ განკარგულებითა სამხედრო მინისტრისა, ლეკციები საიმპერატორო ჰაქიმო-ხირურღის აკადემიაში, აკრძალულია.

მარტის 15-ს. პეტერბურგი. მარტის 17-დგან სახელმწიფო ბანკში და იმის კანტარებში ახალი ათ თუმნიანის ბილეთების დახურდაცა დაიწყება.

17 მარტს. მარტის თექვსმეტში, სალამოს, ექვს საათზე დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მოსკოვიდან გაბანდა თფილისის გზისკენ.

**საქართველო.**

IV.

ამას წინათ „დროების“ მე-5 ნომერში ჩვენ მოვიხსენეთ მიღებულებისაგან დაფუძნებული კალონები შავი-ზღვის პირათ. ამ საგანზე ჩვენ სიტყვა არ გავიფრცვლებია, რადგანაც იმაზე მოლაპარაკება გესურდა ცალკე დაწერილებით. ახლა ეს საგანი დავგრა გამოსაკვლევი; იმას დაურთავთ ძველის დროდამ დარჩენილს კვალს ძველკაზის მხარეში და აგრეთვე ძველკაზის ტომთ ყოფა-ცხოვრებაში. შემდეგ ამისა ჩვენ შეუდგებით თვით ჩვენის ტომის ცხოვრებას და იმისის ისტორიის გამოკვლევას, რომელიც შეადგენს უმთავრეს საგანს ამ შრომისას... აქ აღარ არის საჭირო იმ ფაქტის განმეორება, რომელიც გამოვიკვლიეთ და რომელიც, ვიმედოვნებთ, ჩვენ მკითხველს არ დაევიწყებია, ესე იგი საბერძნეთის განათლების დამყარება მცირე-აზიის ბერძნებისაგან და უმეტესათ მიღებულებისაგან, რომელთაც მე VI—VII საუკ. ძროსტეს შობის წინ მოჰქონეს შავი-ზღვის გარეშემო თავისი კალონები და აქ გავრცელებული აღებ-მიცემობა ჰქონდათ. მიღებულების კალონები აქ ერთი მეორესთან იყო დაკავშირებული, ერთი მეორეზე მობმული. მუბუა-დე-მონპერეს გამოძიებით, იმათ ჰქონიათ დასახლებული ქალაქები ან უ კალონები ყველა დიდის მდინარის შესართავში, ყველა ზღვის მოხერხებულ ყურეებზე, ყველა ხეობის გამოსავალში. როდესაც ეს ქალაქები გადიდრებულან, მაშინ ისინი მცეროპოლიებთ ანუ დედა-ქალაქებთ გადაქცეულან და თვითოეულს იმათგან აქა-იქ თავის გარემოში მოუფენია მცირე კალონები ანუ სოფლები, რომელიც აღებ-მიცემობაში ყოფილან გართულნი. ოღობა მდებარებდა მდინარისა და ბულის შესართავში და ჰსცვლიდა მიწის-მუშაკ-სკივთების მდიდარს სამკალზე საბერძნეთის ლენოს და ნაყოფს. მანისი იყო გავრცელებული დონის შესართავში, იქ, სადაც



ინდოეთისა და სიმბირის ქარვანები იკრიფებოდნენ. მანასი აღებ-მიცემობდა, სცე-ლიდა ოქროს სიმბირის ბეწვეულბაზე, ინდოეთის ფარჩეულბაზე და სურნელ-სანე-ლებელზე. შანაგორია იყო დაფუნებული ქუ-ბანის შესართავში. იმისი ნათესადგური და-სტყეროდა პონტს, კიმმერის ბოსფორს და აზოვის ზღვას. აქ იკრიფებოდნენ აზიის ბოს-ფორიელი, მეოტელი და ყველა ტომისი ჩრდილო პანკაპეა, პანტიკაპეა, ბოსფორის მფლობელი, მიიზიდა აღებ-მიცემობა მან-ასისა და შანაგორიისა, ასე რომ ამით ის აღი-არეს თავის მიტროპოლით. ტორიკოსი და ბატა მდებარებდნენ ბელენჯიკისა და სუ-ჯუქ-პალეს ყურეზე. დიოსკურია იყო აშენე-ბული აფხაზეთის შუა-ადგილსა: იმას პანტი-კაპეს მარლი შექმნა და აქვეა მითულებ-ში; ნაცვლათ იმისა აქედამ გაქმნა ტყავი და სხვა საეაქრო. შაზის შეადგენდა საეაქ-რო ქალაქს კოლხებისას; ის მდებარებდა შა-ზის ანუ რიონის შესართავში; იმას გაქმნ-და სელი, კანაფი, წმინდა სანთელი, ფისი, ტილო, ხე-ტყე, თაფლი. 1) ლუბუა ფიქრობს, ვითომც მიღებულეს კი არ დაეფუნათ ეს კალონიები, არამედ გაეშენებინათ, გაეხლე-ბინათ, რადგანაც იმათი საფუძველი მიღე-ტელებზე ბევრით ადრე არისა დადებული. 2) ჰეროდოტის დროს ამ კალონიებს ჰქონ-დათ თავისუფალი გამგებობა, შემდეგ იმათ გაიჩინეს ტირანები ანუ მთავრები; სულ-ბო-ლოს მომატებული იმათი ნაწილი დაიმონა პონტის მეფემ მიტრიდატმა. სტრაბონისა და სკილაქს გეოგრაფის დროს, რომელიც მე-ოთხე საუკუნის დამდეგში (ძრისტ. შობ. წინ) ცხოვრობდა, აქ კალონიების გარეშე, დო-ნიდამ დაწყებული ვიდრე შაზამდე მკვიდრ-ბდნენ შემდეგნი ტომნი: ა) საერომატები— დონის პირათ, ბ) მეტები—აზოვის ზღვის ნაპირზე; გ) სინტები, რომელთაც ეპყრათ მთელი ნახევარ-კუნძული ტამანისა და ნაპი-რი შავის-ზღვისა ანაპამდე; დ) კერკეტები, ჩვენის დროს ნატუხელები; ესენი მკვიდრობ-დნენ ანაპის სამხრეთთა ბელენჯიკამდე; იმათ-ში იყო გაშენებული, ლუბუას გამოკლებით, ბერძნის ქალაქი ტორიკოსი, რომელმაც თავი-სი სახელი გადასცა თვით ზღვის ყურეს, ახ-ლა ბელენჯიკს; ე) ახილენი—ბელენჯიკის სამხრეთ—აღმოსავლეთით; ვ) ჰენიონი—ახი-ელების მომიჯნავეთ და დიოსკურიის მოსა-ზღვრეთ, ზ) კოლხები, რომელიც ჰენიონე-ბის მგზობლათ სცხოვრებდნენ. მითქმის ამავე ტომებს იხსენიებს სტრაბონი და იმათ გარ-და უჩვენებს იბერიელებს, ალბანებს სონებს, ანუ სვანებს და ზინებს, რომელთაც ის ასახ-ლებს ჰენიონელებსა და ახილენებს შორის; კერკეტების სახელი აღარა ჩანს. ამ ძველ სა-ხელებში შემდეგ დროებამდე დაშთა მხო-ლოთ სახელ-წოდება კოლხებისა, სვანებისა და კერკეტებისა (ჩერქეზებისა); უძველესნი ამ პანკაპის ტომებში არიან კოლხები და სვა-ნები, როგორც წინა-სტატიებითვე ვიცით. ჩვენ გამოვიკვლიეთ, რა მოდგმის ტომთა რიცხვენ კოლხებს, იბერებს და სვანებს. ალბანე-ლები იყვნენ ახლანდელის დღისტანის მცხოვრებნი ალპანდამ მოყოლებული; მა-შასადამე სხვა და სხვა მოდგმას ეკუთნოდ-დნენ. სტრაბონის აზრით, ჰენიონები შეად-გენდნენ ლაკონის კალონიას, რომელიც პასტორსა და პოლოტუსს მოჰყოლია; ახილ-ენი ყოფილან ბერძნები, რომელიც ტრა-ლიდამ მომავალან და ზღვის დღევას მიუტა-ცნია იქ, სადაც შემდეგ ისინი სახლობდნენ. საერომატებს და სინტებს ბექქი მაჰფერს ინ-დო-ევროპიულს მოდგმას, და პოტოკი კი თავის მოგზაურობაში ფინნებთ იხსენიებს: ამ უკანასკნელს აზრზე დგას თვით ლუბუა 3).

„ახილენი, და ჰენიონი სახლობდნენ ლარიბს მთა ადგილებში; იყვნენ ზღვის მეკობრენი; ხმარობდნენ ვიწროსა და მსუბუქს ნაევებს, რომლებსაც ბერძნები უწოდენ კამარებათ და რომლებშიაც თავსდებოდნენ 25—30 კა-ცი. დროითი დრო ისინი აღჭურვდნენ კამა-რებს, მივარებოდნენ დატვირთულს გემს ანუ ზღვის-პირს ადგილებს და ქალაქებს და სცარ-ცევიდენ იმათ; უკუ იქცეოდნენ რა ნატამა-ლით, ზურგზე წამოკიდებულის კამარებით მიემართებოდნენ ტყეში. იქ სცხოვრებდნენ და იკვებებოდნენ ლარიბის მიწის შემუშავე-ბით. რადესაც დრო მოვიდოდა ზღვაში სი-არულისა, მაშინ ისევე მეკობრეობას მიყობ-დნენ ხელს. ამ გვარათვე იქცეოდნენ უცხო ადგილებში, სადაც კი იცოდნენ ტყის მდები-არება: იქ მიმალავდნენ კამარებს, ღამით ქვე-ვითათ დატანტალებდნენ და დღისით მოგზა-ურთ სცარცევიდნენ ანუ იტაცებდნენ გასას-ყიდათ 4).“

რადგანაც მომატებული ფაქტები, რომელ-საც ჩვენ აქ უჩვენებთ და შემდეგ შემოვი-ტანთ, სტრაბონის თქმულებაზე დაყრდნე-ლი, ამისთვის საჭიროთ ვრაცხთ თვით სტრა-ბონი ჩვენ მკითხველს გავაცნოთ. როგორა-თაც ჰეროდოტი, სტრაბონი ეკუთვნის მკი-რე-აზიას: ის დაიბადა პონტის ქალაქში, ამა-სიაში, სცხოვრებდა უკანასკნელის საუკუნის პირველს ნახევარში ძრისტეს შობის წინ, და იყო თანამედროვე რომის იმპერატორებისა— აგვისტოსი და ტიბერისა. სტრაბონმა მიიღო ჩინებული სწავლა. სტრაბონს უმგზავნიან სირიაში, მეგიეტში, საბერძნეთში და იტა-ლიაში; მიმოუღვლია აგრეთვე პონტის ქვეყ-ნები და თვით იბერია ანუ საქართველო. მით იმისი დედის ბიძა მოაფარნი ერთ დროს პოლხიდის გამგებელი ყოფილა. რო-გორათაც ჰეროდოტი ითვლება ისტორიის მამათ, აგრეთვე სტრაბონი ითვლება გეოგრაფი-ის მამათ, ანუ პირველ გეოგრაფათ. იმას უფუღე-ნია 27 წინა: იმათში ორი წარმოგვიდგენს აღწე-რას იტალიისას, სამი—საბერძნეთისას, სამი-ც-მკირე-აზიისას. სტრაბონით ვიცით მრავალი თქმულება ძველის მწერლებისა, რომელიც დაკარგულნი არიან. რაცნობაც თვით სტრა-ბონს შეუკრებია პანკაპის მხარეებზე, იმ ცნობას ის შეუთანასწორებს ძველს გეოგრა-ფებს და ისტორიებს, ნამეტნავათ ჰეროდოტს, რომელსაც ის ჰხადის ამ ქვეყნების ცნობის წყაროთ. მსეც უნდა ვთქვით, რომ სტრაბო-ნის გეოგრაფიული ცნობა პანკაპიზე ბე-რით სრული და ჭეშმარიტია, ვიდრე ჰერო-დოტის თქმულება. სტრაბონის აღწერა მკი-რე-აზიისა და შავის-ზღვისა ჩვენთვის აქ სა-ჭირო აღარ არის: ვისაც სურს, იმას შეუძ-ლიან ამ საგანზე მიჰმართოს მივიან-სენ-მარ-ტენის წიგნს *Asie Mineure t. II. p. 370—411*; აგრეთვე მიხვალდის სტატის: *Страбо-нови известия о Кавказе и Южной России*, რომელიც დაბეჭდილია რუსულს ქურონალში *Библиотека для чтения, том. XXX*. ჩვენ ამ წყაროებდამ და აგრეთვე ლუბუას თხზულებ-ბიდამ მხოლოდ იმ ცნობებს გამოვიკრებთ, რასაც ჩვენის სტატიისთვის საჭიროთ ვრაცხთ.

პანკაპია, სტრაბონის სიტყვით, არის შავის-ზღვისა და პასპიის ზღვის შუა მდებარე მთის ზღუდე. სამხრეთით იმის საზღვარს შეადგენენ ალბანია და იბერია, ჩრდილოეთით-სარმატე-ბის ვაკე-მინდვრები. პანკაპია მდიდრათ შემ-კულია ტყით, და უფრო შენობაში სახმარის ხე-ტყით. როგორც მართლსაყენი ამბობს, პანკაპს დარქმევია პასპიის თემი კასპიელების ტომთაგან. პანკაპია განაწილებს სამხრეთი-საკენ რამდენსამე შტოს, რომელიც შეიც-ვენ საშუალო იბერიას და უკავშირდებიან სომხეთისა და მოსხეთის მთებს, აგრეთვე სკი-დის და შარადრს; ესენი არიან შტოები მა-ერის ზურგისა, რომელიც თვით შეადგენს

სომხეთის სამხრეთ საზღვარს, და როგორათაც მოწყვეტილი უმთავრესის ძირისაგან მიემარ-თებიან პანკაპიამდე და შავის ზღვის ნაპირ-მდე.

შემდეგ ამისა სტრაბონი გამოგვიხატავს პოლხიდას. „ზღვის ყურეზე, პონტის აღმო-სავლეთს კიდევ მდებარებს დიოსკურია. აქა-მდე ვრცელდება ზღვით მსგელობა. დიოს-კურია შეადგენს დასაწყისს პანკაპს—პასპიის ქედისას და აღებ-მიცემს ცენტრს ყველა გა-რემო ტომთათვის. ზოგნი იტყვიან, აქ იკრი-ბებიან 70, ზოგნი 300 ტომნი, რომელნიც სხვა და სხვა ენას ხმარობენ, რადგანაც სხო-ვრებენ ველურათ ერთი-ერთმანეთის დამოუ-კიდებლათ. შემეტსი ნაწილი იმათი სარმატე-ბის მოდგმისანი არიან, მაგრამ პანკაპის ტო-მნიც ყველანი დაიარბიან დიოსკურიაში 5).“

რა ადგილს მდებარებდა დიოსკურია, ამაზე ახვა და სხვას ამბობენ. ლუბუა, მიხვალდი და როტტიერი დიოსკურიას უჩვენებენ მო-დორის მდინარის მახლობლათ, იქ, სადაც ახ-ლა არის ნათესადგური ისკურია ანუ სხუზა-მელი თუ მარმარა. შრანტუსის მოგზაური ბამბა კი დიოსკურიას ასახელებს სხუზა-კალეს. დიოსკურიას ძველათ რქმევია აგრეთვე სება-სტოპოლი. ისკურია ახლა სრულგვით მოხ-რებულია და გვერანებული. მიხვალდის სი-ტყვით აქამომდე დაშენილა აქ ოდესმე მდი-დრათ ალყავებული ქალაქის მოწმით მხო-ლოთ დანგრეული კოშკი. ისკურია ეკუთვნის ახლა სამეგრელოს და მდებარებს რედუთკა-ლეს ჩრდილოეთით 6). დიოსკურია ითვლებოდა მეტროპოლით ანუ დედა ქალაქთ იმ რეს-პუბლიკისა, რომელიც ყოფილა გაერკვლე-ბული პოდორის მდინარედამ ინგურის მდი-ნარემდე. დიოსკურიის გარდა უმთავრესს კა-ლონიებთ ირცხებოდნენ: ბენოსი, აწ ტკე-ნასი მარკულანე, ილორი, ბელია, ჰერაკლია ანუ ანაკლია. სხანს, ამბობს ლუბუა, დიოს-კურიას კაი—ხნი დაუცვია თავისი შემძლეო-ბა და გავლენა. ამას გვიმტკიცებს მართლის-ცხოვრება. რადესაც შარნაოზ მეფემ 299 წელს, ქრისტეს წინ, აზონი განდევნა და მთე-ლი მხარე დაიპრა, მაშინ იმან ვერ შესძლო დაქერა მეურის, ესე იგი იმ მხარისა, რომე-ლიც შაზიდამ პოდორამდე მდებარებდა და რომელიც დარჩ ბერძნებისავე ხელ-ქვეითი 7). როგორ მტკიცთ ყოფილან ამ მხარეში და-მყარებულნი ბერძნები, ამას ამტკიცებს ახლაც მრავალი ნაშთი იმათის დროს შენობებისა. მთელი აფხაზეთა, სამეგრელო, ბურია და ზე-მო-იმერეთი ახლაც სახსენა სასახლებისა და ციხე-სიმაგრების ნანგრევებით. იმათში განსა-კუთრებით შესანაშნავია ერთი ვრცელი ქეთ-კირის ზღუდე; ამ-ვეარი ზღუდეები იშვითი არ იყო ძველათ: მაგლით. ხერსონესში, ბოსფო-რში, შარკიაში და სხვაგან. დიოსკურიის ზღუდე იწყობოდა ზღვის პირათ სხუზა-კალეს მახლო-ბლათ, ახლანდელს ძელასურში, მიმართე-ბოდა პოდორის ჩრდილს, შუა გულს აფხაზეთ-ში, ზღუდავდა ზემო-ხეობებს მარკულისას და ბალაზისას, ვადლიდა ბედის ზემოთ, და მიეზღინებოდა მნგურს ათანგელოს ზე-მოთ. სიგძე იმისი, როგორც ამბობენ, 160 ევრსამდე ყოფილა. ადგილ-ადგილ იმას დატანებული ჰქონა კოშკები. მესამის საუ-კუნის დამდეგს ძრისტეს შობ. შემდეგ ამ ზღუდეს პტოლომეი უწოდებს *Καπερον Τεχον*. მაგრარს კედელს. სტრავანე მიხანტელი მეექ-ვე საუკ. დამდეგს იხსენიებს კორაქსიელების ზღუდეთ. როდის უნდა იყოს ის აშენებული არ ვიცით: ეჭვი არ არის, ის აუშენებიათ ბერ-ძნებს ძველათვე პანკაპის მთიულების დასა-კავებლათ 8).

დიოსკურიას ორი გზა ჰქონდა გამართუ-ლი საღებ-მიცემო. ერთი—პანკაპის ჩრდილო მხარესთან, მეორე—რიონით და საქართვე-

ლოთ ინდოეთთან. პირველი გზა მისდევდა ხმელეთით: დიოსკურიადამ დაწყებული ის მიემართებოდა წებელს, იყოფოდა ორათ, ერთი მისდევდა დალს, მეორე მიემართებოდა მარუის დასავლეთით; შემდეგ ერთი მეორეს უერთდებოდა ზაღენჯუხის ხეობაში და გა-დიოდა ჰიანისა ანუ შუბანის მდინარემდე. ეს გზა არის უძველესი გზა პანკაპისა, რომლი-თაც, ბერძნებს შექმნდათ ჩრდილო მხარე-ებში განათლება და აღებ-მიცემობა. ახ-ლაც მთელი ეს გაყოლება მოფენილია ძველის ქალაქების, სოფლების და სასა-ფლაო გორაკების ნაშთებით, რომელნიც უმაღლესს მთა ადგილამდე იპოებიან. ამ გზით გაისტუმრა, 571 წ. ალანების მეფემ სარო-დიუსმა ზენარხი, მოსტანტინებოლის ელჩი, რომელიც მურქის ხანთან იყო ალტაის მთაში და უკუიქცა თავის ხელმწიფესთან. ამ გზას მენანდრი უწოდებს დარინის გზათ 9).

პოლხიდა, სტრაბონის სიტყვით, იწყობო-და თითქმის ტრაპიზონიდან 10). პოლხიდაში მომდინარებოდა შაზი: ეს სახელი ახლა ჰქვი-ან რიონს, რომელსაც შაზის მთაში აქვს სა-თავე. სტრაბონი იმის სათავეს უჩვენებს მეს-ხეთის მთაში; სხანს ეს ხანის-წყალია. შაზით დაიარებოდნენ ნაეები სარაპანამდე ანუ შო-რაპანამდე. სხანს აქ შაზთ სტრაბონს მიან-ნია ახლანდელი შვირილა. ახლანდელს შაზს ის უწოდებს თავის სათავედამ შუთისამდე ლაეკათ, ახლანდელ სხენის-წყალს კი ჰიპ-პათ. შაზის შესართავში მდებარებდა ქალაქი შაზისი. შაზი იყო საეაქრო გზა იბერი-ისა და ალბანისა. იქ, სადაც შვირილა და ძირულა უერთდებიან ერთი მეორეს, და სა-დაც სარაპანის ციხე-სიმაგრე მდებარებს, პა-ტარა ნაეები ადილათ ადიოდნენ; სარაპანი-დამ გზა მისდევდა შვირილას სახენის მა-ლოზამდე, ამ გზაზე ოცის ქეთიკირის ხილით ვაქრები გადიოდნენ ერთის მხრით მეორე მხარეს. ინდოეთის საეაქრო მოჰქონდათ შავ-ზღვისკენ მკუსუსის მდინარით: რადესაც პომპეი მიტრიდატს ეძძოდა, მაშინ მარკ შარონისთვის ეამბნათ, ვითომც ვაქრები შეიდი დღე უნდებო-დნენ ინდოეთიდან ბაქტრიანამდე და იკარუს მდინარემდე, რომელიც მკუსუსს ერთვის; აქედამ შემოდიოდნენ პასპიის ზღვით მტკერის შე-სართავში; აქედამაც ვითომც ხუთს დღეს ხმელე-თით მგზავრობდნენ შაზის მდინარემდე 11). — სტრაბონი დიდათ აქებს პოლხიდის ხე-ხილს და თაფლს, რომელსაც ჰქონია რალაც სიმწა-რე. ის თაფლი თურმე ათრობდა კიდევ; რა-დგანაც ფუთკარი აქ იკვებებოდა მომატებუ-ლათ მთის მცენარით როდოდენდრონით ანუ ჩვენებურათ იელით. პოლხიდა მდიდარი იყო შენობის ხე-ტყით. სტრაბონი აქებს აგრეთვე აქაურს სელს, კანაფსა, წმინდა-სანთელს და ფისს. მანთქმული თურმე ყოფილა აქ ტილო, რომელსაც კოლხიდელები ამზადებდნენ და ყოველ მხარეს გაჰქონდათ. „მთით მიწები მოგვიტხრობენ, განავრძობს სტრაბონი, რა დიდებული ყოფილა ეს მხარე: მიწები გვიამ-ბობენ იზონის მოგზაურობას, რომელსაც აქედამ მიდილაში მიუშართავს, იზონზე ადრე იგინი უჩვენებენ შრიქის გალაშქრებას. მე-ფეებს დაუყვიათ ეს მხარე თემებთა და იმისის კეთილ-დღეობისთვის უზრუნვით 12).“

„იმ ტომთ რაცხენი, რომელიც დიოსკუ-რიაში ჩამოიკრიბებოდნენ, ცნობილი იყვნენ კორაქსიელი, შემდეგ წებელდელი და გან-საკუთრებით სონნი ანუ სვანნი. კორაქსიელ-ნი მუქართ უმზრდნენ დიოსკურიას თავისის მდილობებიდამ, სადაც პორაქს ანუ პოდორს სათავე აქვს. სტრაბონის დროს იმათ ჰყენ-დათ მეფე და საგამგებლო კრება, 300 კაცით შემდგარი. იმათ შეეძლოთ სხვა ტომების შე-მწეობით შეგროვება 200,000 ჯარისა, რო-

1) Dubois de Montpéroux, Voyage autour du Caucase, t. I, p. 56, 57.  
2) Ibid. 57, 58.  
3) Ibid. p. 58, 63, 64, 67, 309.

4) Ibid. p. 67, 68. Эпхвалда Страбонovy известия о Кавказе, Библ. для чтен. XXX, стр. 150.

5) Страбон. извѣст. стр. 111.  
6) Voyage autour du Caucase, t. I, p. 306, 307, 316. Страбон. извѣст. стр. 113.  
7) Voyage autour du Caucase, t. I, p. 308, 309.  
8) Ibid. p. 309—312.

9) Ibid. p. 321—326. Lebeau, Histoire du Bas-Empire t. X, p. 69—71.  
10) Asie Mineure, t. II, p. 387.  
11) Страбон. извѣст. стр. 112—113. Dubois, Voyage. II, p. 71, 72. Montesquieu, Esprit des lois, 1860, p. 288.  
12) Страбон. извѣст. стр. 113, 114.



მელნიც განთქმულნი თურმე იყვნენ მეომ-  
რობით. იმათი საქმელი იყო რძე, ტყის მო-  
საყალი და გარეული ხორცი. სტრაბონი ამ-  
ბობს, რომ აქაური მთიულეების ადგილ-სად-  
გომი ზამთარში შეყვანილი იყო; ზაფხულში-  
აც, როდესაც თოვლი ისევ იდო, ისინი ფეხ-  
საცმელათ ხმარობდნენ კამბეჩის ტყეის გა-  
ნიერს ქალამნებს, და დატვირთულნი ტურა-  
ვდნენ მარხილებით. იმათი სავაჭრო სავაჭრი  
ლიოსკურიაში მარხილი თურმე იყო 13)“, „სე-  
ნები სცხოვრებდნენ ძველნი უმაღლესს ად-  
გილებში, იქ, სადაც ახლა სახლობდნენ, და გა-  
ვრცელებულნი იყვნენ სამეგრელოს მთა-მი-  
ნდერებამდე და ლიოსკურიის ჩრდილო მა-  
ლობამდე, სენები იყვნენ ლაბინი; პური მო-  
ჭყვანათ იმათ მცირეთ და უფრო ავაზაკო-  
ბას მისდევდნენ. სენები ხმარობდნენ შვალდ-  
ისარს და შხამულს; მართა ამ საწამლაის სუ-  
ნი ბნედავდა ვინც რომ დაკოდილი არ იყო.“  
მიხვალდი ამბობს, ეს დასაჯერებელიაო. ამის  
საბუთათ ის მოიხსენებს კამბადლებს, რომ  
მელნიც ისრის წვერის დასაზამათ ხმარო-  
ბენ მცენარეს *aconiti napelli* ისე, რომ თუ  
დაჭრილი ადგილი იმ-წამსვე არ გამოიწოვა,  
სიკვდილი მისივე აუცილებელია. ამ გვარი  
საწამლაი მცენარე უმაღლესს ძველნი მთებ-  
ში მრავალი თურმეა. „იტყვიანო—ამბობს შე-  
მდეგ სტრაბონი—სენებს აქეთ ოქროს-ქვი-  
შიანი მდინარეები. ეს ბარბაროსები ოქროს  
ქვიშას აგროვებენ დახვედრების პირუტყ-  
ვის ტყეებით. აქედამ წარმოსდგა თქმულება  
ოქროს რუნზე 14)“.

მოხსენი ანუ მესხეთი შეიცავდა იმ ძველ-  
ნიის კუთხეს, რომელიც უფროდებდა ძლარჯე-  
თის ანუ ახლანდელის ახალციხის მთას. ამ  
მთას აქვს მრავალი მლობები, რომელიც  
ჰყოფენ ძოლხიდას და იბერისას. მართველები  
იმას უწოდებენ ლინის მთათ ანუ შადოს მთათ.  
მესხეთი, სტრაბონის თქმით, დანაწილებული  
იყო ძოლხიდასა, იბერისასა და სომხეთს შო-  
რის. მესხნი იყვნენ დილ აღებ-მომცემნი, კარ-  
გნი მიწის მუშენი და უმეტესათ ვაზის შემ-  
მუშავებენი 15)... სამასის წლით სტრაბონ-  
ზე აღრე, როდესაც მსენთონტი 10,000  
ჯარით სპარსეთით დაბრუნდა თავის სამშო-  
ბლო საბერძნეთში, იმან სომხეთით მესხეთის  
საზღვარი გამოიარა, და თავისი გზის აღწე-  
რაში რამდენიმე სურათი გადმოგვცა მესხების  
ყოფა-ცხოვრებაზე. ეს სურათი ღირსია შენი-  
შენისა: ჩვენის აზრით აქ უადგილო არ იქ-  
ნება იმისი გამოკრება:

(შემდეგი იქნება).

ს ი ტ ყ უ ა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ სა უ წ ყ ე  
ბ ე ლ ი წ ი გ ნ თ ა ქ ა რ თ უ ლ თ ა ბ ე ქ ე  
დ ი ს ა ვ ა მ ო პ ლ ა ტ ო ა ო ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა .

ჩვენ წარსულ სტატიას არაფერი არ გვი-  
თქვამს ლექსთა წყობილებისათვის უ. იოსე-  
ლიანის სიტყვისა. მგონებ, საზოგადოდ ყოვე-  
ლათვის ცნობილია, რომ მწერალი სიტყვისა  
მოქალაქეობას ყოველის-მხრით დაცვას ქა-  
რთულისა ენისა და მართლ წერისა მისისა;  
არ შეიძლება ამის მიზნისა გამო არ გავინ-  
ჯოთ მისი სიტყვა და არ დავანახოთ მკით-  
ხველთა, რომ კანონიერი ქართული ენა და  
მწერლობა არ იპოვება მის ნაშრომ სიტყვაში.

ჩვენ, მისგან შედგენილი სიტყვა, გვაძლევს  
იმისთანა დარწმუნებას, რომ მქალაქეობის  
სურს გულითა, რომ აღიწიოს რაც შეიძლე-  
ბოდეს მაღლა სიტყვიერებით; იხმაროს რა-  
მელიც ღრმა და გაუგებარი სიტყვა, და ისიც  
საუბედუროდ მკითხველთა ისეთ ნაირად არის  
მოყვანილი რომ აღარც ქართული გამოიღ-

და აღარც . . . მაღალს და ღრმა ენას, რა-  
საკვირველია დიდი განრჩევა აქვს დაბალს  
ენასთან; ხოლო მსურველსა ძველის ენით  
მწერლობისა უნდა აქვდეს სახეში, რომ  
ყოველის მხრით ცდილობდეს ერთს კილოზედ  
წერას; და თუ წინა-აღმდეგ ამისა, მაღალს  
ენას და დაბალს ერთი ერთმანერთში აურევს  
როგორც ჩვენი მქალაქეობელი, გამოვა—რა—  
უგვანი, დასახიჩრებული, და გაუგებარი.

ჩვენ როგორათაც შევირდები, რომ ესწავ-  
ლობდით ძველ ხელ-წერ წიგნებში, იქიდგან  
ცხადლ ვხედავდით, რომ მისი მწერალი მიხე-  
დულებისაგან საგანისა ჰსწერდა და მეცადი-  
ნება რაც შეიძლება აზრთაც და მწერ-  
ლობითაც, ყოველ წერტილიდან წერტილ-  
მდე სულ ერთ კილოზედ; მაგალითათ აქ  
წამოვაცყვებთ ლეთის მეტყველებას იოანე  
დამასკელისა, წინა-აღმდეგ ერთბუნებიათ სა-  
რწმუნოების აღმსარებელთა, სახელი ჰქვიან  
„ოქრო-ნეკტარი“; ამისი მთარგმნელი ისე მე-  
ცადინებულა ერთის სიტყვით, იმ ნაირ ენაზედ,  
რომ ეხლა მართლაც წამოთხველი იმისი, შე-  
ხედება არა მცირესა შრომასა; ჩვენ დროს ეს  
წიგნი იყო დაბეჭდილი ლაქით და ოსტატის  
ბეჭდით გეშლიდნენ წაკითხვას, ვიდრემდის  
არ გვესწავლა ჯერეთ ღრამატოკა და სხვა  
საგნები. ჩვენი მქალაქეობელიც მითომ ცდი-  
ლობს ესრეთვე, და ამის გამოისობით თავის  
მწერლობაში ისეთ წამოურევს შიგდაშიგ, რომ  
არც სიტყვას უღდება არც აზრსა და ამისა-  
თვის რჩება კიდევ მიუხვედრებლად მკითხველ-  
თაგან.—ძველი ქართულის ღრამატოკით არა  
ოდეს არ ითქმის ესრეთ, „მეცნიერნი ვერო-  
პისა, ჰყვედრიან ძველთა და მამაპაპათა თვი-  
სთა“. აქედან ჩვენ გვესმის აზრით, მგონივ  
მქალაქეობელსაც სურს ისა, რომ ამ სიტყვით  
წარმოაჩინოს, ვითომც განსწავლულნი საგნე-  
ბითა, მჭევრ-მეტყველებითა, ლექსთა თხზვითა,  
ფილოსოფიითა,—ჰყვედრიან ძველთა და მამა-  
პაპათა თვისთა; მაგრამ აი აქ როგორი აზრი  
გამოდის ძველის ქართულის ენის მიხედულო-  
ბით: მეცნიერს ეტყოდენ ნაცნობს, ე. ი. კა-  
ცი იგი მეცნიერია ჩემდა, მაშა სადამე ამისა  
მიხედულობით შეიძლება ერთხელ რომ შეე-  
სულიყავა პარიფის ქალაქში მეც მეცნიერი  
ეიქმნებოდი, და ძველის ენის მიხედულობით  
დაესწვრიდი მეცნიერი ვარ მეოპისა, (ანუ  
პარიფისა) ხოლო სწავლა და სწავლის მიღე-  
ბა სულ სხვა რიგად უნდა დაიწეროს ამ შე-  
მთხვევაში.—„ჰყვედრიან ძველთა,“—აქ კლე-  
ბულს უპირველეს წინადადებას ანუ საგანს  
რახედ სურს მიაწეროს ეს სიტყვა, ძველი  
შეიძლება ბევრს რახედმე ვინაზროთ-და ამ გვა-  
რს სიტყვის წყობილებას მკითხველნი ყოველს  
ტრიქონზედ შეხედებთან, ამისთვის ჩვენ ამ  
წერილმანს თავს მივანებებთ.

„ქართულთა ქტუყანისა ობრებაჲან, (მსწე-  
რს მქალაქეობელი) მტერთაგან სარწმუნოებისა  
მათისა და მეფობისა დაგვივარგა მრავალი  
წიგნი დღესაცა ვეძებთ და ვერა ვპოვებთ  
წიგნთა მათ, რომელთაცა მოიხსენებენ არსე-  
ნი, კათოლიკოზნი ანტონი, ბესარიონ, მახ-  
ტანგ, მახუშტი და სხვანი. მეძებ და ვერა  
ვპოვებ მათ, რომელნიცა მინახვან და წარმი-  
კითხვან ბოდბელთან, რუსთველთან და სხვე-  
ბთან“. ი მწვენიერი ქართული სიტყვიერება,  
აი წყარო და საესება ქართულის სიტყვიერე-  
ბისა! რომელი ქართული მწერალი დასწერს  
ესრეთ, ავი ზევეთვე ესთქევი, მქალაქეობელს  
სურს იხმაროს მხოლოდ იმ ნაირათ რომ წა-  
მკითხველმა მაშინვე ყურები ცქვიტოს და  
დარჩეს საუკუნოდ გაუგებრად . . . . .  
ამ მქალაქეობელის სიტყვიერებამ გვესმის,  
რომ საქართველოს ბევრი წიგნი დაჰკარგვია  
ობრებისაგამო საქართველოსი მტერთაგან;  
მაგრამ აქ რომ სახელები ჰსწერია იქიდგან  
ეხედეთ, რომ ერთი მხოლოდ ანტონი კათო-  
ლიკოზია; სხვები ვინდა არიან? პარსენი, ბესა-  
რიონ, მახტანგ და მახუშტი? ეხლაც არ დი-  
ჯერებს მკითხველი, რომ მწერალს სურს სულ  
რადც ახლისა შემოღება და გაუგებარის წე-  
რა. აქ ჩვენ ვიტყვი, რომ არსენი და ბესა-  
რიონიცა კათოლიკოზნი იყვნენ, მაგრამ ამა  
სიტყვის მიხედულებით კათოლიკოზნი ერთი  
სხანს ანტონი, იქმნება თვით მქალაქეობელმაც  
არ იცის,—მაშა ამისათვის, არა მეცნიერი ნა-  
მდვილ კაცთა ცხოვრებისა არ უნდა ადვილად  
იკადრებდეს ხელ ყოფასა ესე ვითარათადმი.  
ი როგორ მოითხოვს აქ ქართული მწერ-  
ლობა; მერა ვპოვებთ წიგნთა მათ რომე-  
ლთაცა მოიხსენებენ, კათოლიკოზნი პარსენი,  
ანტონი 1 თუ 2, ბესარიონ, მეფე მახტანგო,  
მეფის ძე მახუშტი და სხ.—აქ იმისთანა  
სახელებია, რომ თუ ასე არა არაოდეს ერთი  
სახელით არ დაიწერება.—ბოდბელი და რუ-  
სთველი ვილა არიან? აქ ჩვენ აი რას ვიტყვი,  
მე ამ სიტყვაზედ ლაპარაკი შემხედა ერთს  
ჩემ—სოფელ კაცთან, რომელიც თუმცა  
არ არის სასწავლებელში განსწავლული, გა-  
რნა უყვარს წაკითხვა წიგნებისა და აქათ იქით  
ლაპარაკში ყურის დაგდება, იმას სადღაც შე-  
ხვედროდა ამ სიტყვის წაკითხვა, მერე მე რომ  
შემხედა ვკითხე, ახალი ამბავი რა იცი? იმან  
მაშინვე მიპასუხა, უჰ! რაღა რა ვიცი ერთი  
სიტყვა წავიკითხე გავეთში მართლაც სულ  
სხვა ნაირი იყო, ჯერ არსად არ შეხვედრი-  
ვარ იმ გვარსა.—მერე როგორ მოგწონს?  
ვკითხე.—ძალიან კარგად, მარამ მე ვამზავსებ  
იმ სიტყვას ვაკე ადგილს გარნა შიგ და შიგ  
დიდ-დიდი ლოდებით საესეს ასე, რომ კაცს  
ფხვის წამოკერით თავიპირს ამტერვდეს.—  
რათა?—როგორ რათა, ისეთი როგორღაც  
უხერხოთ არის მოყვანილი აზრები იმ სი-  
ტყვაში,—იმისთანა სიტყვები ურევია, რომ  
თავის დღეში არ გაგონილა, არც მოგვისმე-  
ნია; ხომ კარგათ იცი მაშა ჩემი ჩვენი ბატო-  
ნის ტვიღელ-მიტროპოლიტის მწერაუღელი  
იყო, იმანაც იცოდა ღრმა ქართული, ცოტა-  
ცოტა ესწავლა მღვდელთ-მთავრების და ბე-  
რების ყრილობაში, მაგრამ იმ ქართულს ისეთ  
ადგილს და დროებას შეურჩედა, რომ მეც  
ძრიელ კარგათ მესმოდა, მაგრამ წინააღმდეგ  
ამისა, ეს სიტყვა ისეთ ნაირათ არის დაბე-  
ლებული, რომ თვით ბატონი ტვიღელ-მიტრო-  
პოლიტიც ადგეს ვერც ის გაიგებს.—რომელი  
არ გესმის?—მრავალი. მერე ბოლოდროს  
ვკითხე, როგორ გესმის ეს სიტყვები: „რო-  
მელნიცა მინახვან და წამოკითხვან ბოდბე-  
ლთანა, რუსთველთანა და სხვებთანა“?—არ  
ვიცი, მე კი მგონია რომ ეგენი გვარები უნდა  
იყოს კაცებისა; ასე გახდა სალაპარაკოთ, რომ  
წინაღმ მეც ძალით გამამტყუნა, მაგრამ მე  
უთხარი არა, ეგენი გვარები არ არიან, მწე-  
რალს ვერ უხმარია კარგად; მწერალი მაგ  
სახელებით გვიჩვენებს მღვდელთ-მთავრებს,  
ბოდბე და რუსთაფი სოფლებია, ჰო, ჰო! მი-  
ეხედი ძლივს, აღარ დამაცალა სიტყვა, ჩვენს  
ბატონს ერთი მწყვეში ჰყვანდა და რომ ვკი-  
თხავდი სადაური ხარ? მეტყუოდა ბოდბელი.—  
დამაცალე, გითხრა დაწერილებით ცოტა ხმის  
შემადლებით ვუთხარი: „ამ ორ სოფელში  
როგორათაც სხვა რომელთამე საქართველოს  
სოფლებში, იყო სამღვდელთ-მთავრო სობო-  
რო და მღვდელთ-მთავრებიც იყვნენ, ამ  
უკანასკნელ დროებაში, ბოდბის სოფლის  
მღვდელთ-მთავრად მოგვესწრო ცოტა დრო-  
ებით, მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი და  
რუსთველთა—სტეფანე მთავარ ეპისკოპოსი  
გვარად ჯორჯაძე. ისინი ყოველთვის როცა  
ხელს მოაწერდნენ ანუ ბძანებას რასმე გასცე-  
მდენ, ყოველთვის ხელს აწერდნენ, ბოდბელ-  
მიტროპოლიტი, რუსთველ-მთავარ-ეპისკოპო-  
სი, ყოველთაც გვესმოდა, ესრეთვე უწოდე-  
ბდით, ეს კი არ შეიძლება რომ პირდაპირ  
დაესწერათ ბოდბელი, რუსთველი; ყოველს  
კაც და ცხოველს შეეხება ესეთი სახელისდება.

ძლივს ძლივს დავარწმუნენ ეგ მწერალი მანამ  
მზრახველი, მაგრამ სხვანი რას მიხედობთან თუ  
ჩვენ ამ გვარ არ დავანახებთ, რომელიც მო-  
მატებულ ნაწილთათვის არის დღესაც დაუ-  
რული.  
მარტის 15-ს, დ.  
ს. მქოყანას.  
(შემდეგი იქნება).

**სხმა და სხმა ამავენი.**  
ზ რ ა თ ე ნ ა ლ ე რ ო მ ე ფ ო რ ი ს ს ა ქ მ ე .  
„სასამართლო მოამბე“ გვაცნობებს, რომ  
თებერვლის 21-ს მმართველს სენატში ირჩე-  
ოდა გამოჩენილი საქმე მრათინას ლეოზე-  
ფორისა. ეს საქმე შესდგება შემდეგში: სტა-  
ტს-სკერეტარმა ბლებოვმა, მკატერივ II-ს  
დროს იყო ბაშკირებისაგან ნაჭერი მიწა  
ახლანდელი პერმისა და ორენბურგის გუბე-  
რნიების შუა შემდეგის სამხედროებით: ერთი  
ადგილიდან 50 ვერსტი გარეშემო. ამ შუა-  
გულში განიარათა ქარხანა, რომელიც მერე  
მემკვიდრეობით და სყიდვით გადავიდა მრ-  
ათინა ლეოზეფორთან. ახლა ეს დაობს თა-  
ვისი ქარხნიდან 50 ვერსტ გარეშემო. ამ  
მიწაზე არის აშენებული ბევრი ზოადებიცა  
და ქალაქებიც. ახლა თუ გრათინა მოიგებს  
საქმეს, მაშინ შეუძლიან უბრძანოს, რომ  
ეს ქალაქები და ზოადები დააქციონ, თუ არ  
შეისყიდეს იმისაგან მიწა. იმის დავას აფასებენ  
სამოც მილიონ მანეთათ. ამ ბუმბურაშ-საქმეს  
აქამდინ უიშედოთ რაცხდნენ; მაგრამ ახლა  
მგონი ბედი გრათინასავე დაბრუნდა, რომე-  
ლიც დიდი ხანია რაც თავის საქმეს მოუღ-  
ლელოთ სდევნის. საქმე სულ მეყვირისა არის.  
ზ ა ს ლ ა ე ლ ი , თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 10-ს  
(კ ო რ რ ე ს პ ო დ ე ნ ც ი ა ) .  
ჩვენი პატარა ქალაქი სდვას მოლინის შუა-  
გულში, და რადგანაც მივარდნილი ალავი  
არის, ამიტომ აქამდინ იშვიათათ რამ გვირ-  
ვედა სიმშვიდესა. მაგრამ ამ ზამთარს ეს სრუ-  
ლებით შეიცვალა. ამ ცოტა ხანში ერთ  
ჩინოვნისას, ღამის 10 საათზე, შეცვიდნენ  
ექვსი კაცი ცულებით და დიდბონი დანებით,  
და მუქარებით სთხოვდნენ იმის სახლობას  
ფულსა. მაგრამ ბებერს—ც მალე მობრუ-  
ნდა სამსახურიდან. იმისი მოსვლა რომ  
შეიტყეს ქურდებმა, მაშინვე გაიქცნენ სახლი-  
დან და შიშის მეტი არა დაუშევსრა სახლო-  
ბას. მიღრე ს. მოვიდოდა შინ, ქურდები  
შინჯავდნენ ყუთებსა და შკაფებს, რომელიც  
გავლათ სახლობისაგან მიცემული გასადებე-  
ბით. ზამოძიება, როგორც ჩვენში ჩვეულებ-  
ბათ არის, მიანდეს პოლიციის ნადიარატელს,  
რომელმაც თუმცა მიიტანა ეჭვი იმ ღამეს  
აფხოდათ მატარებელთ სალდათებზე მაგრამ  
გამომძიებელი ამ ეჭვს არ ამართლებს. ეს კი  
მართალი არის, რომ იმ ღამეს პოლიციამ და-  
ითხოვა აფხოდი ღამის 9 საათზე, ე. ი. იმ  
დროს, როდესაც იმათი მოთხოვნისგან იწყე-  
ბა. ამ გარემოებამ ძალიან შეაძრწუნა ხალხი  
და დამაშავეთა შეტყობაც ძალიან უნდოდათ.  
მაგრამ, როგორც შეუღდნენ თუ არა რიგზე  
საქმის გამოძიებას, მაშინვე უარესი შემთხვევა  
მოხდა. მისთვის მშვენიერს ანუ ცულს დილას  
პოლიციის გამგებლობას ესმის, რომ პოლი-  
ცია გატყენს და გაქურდეს. ზამებლობა  
ჰკვირობს, არ იჯერებს, ხტის. მერე პოლი-  
ციის სტოროქსა ჰკითხეს და სთქვა: რომ დი-  
ლის 4 საათზე მოვედი ბუზრების ასანთებლ-  
ათ და ენახე, რომ კარები გარეგან გატე-  
ხილი იყო; საქმეები და ქალაქები ჩამო-  
ყრილი, შკაფებისა და სტოლების კლიტები  
დამტყვეული იყო; ხელმწიფის სახეც კი არ  
დევნოთ. როდესაც პოლიციამ გაშინჯა, ნა-  
ხა, რომ ფულიც გატანილი იყო და ამასთან  
ერთი ყაბი ბილეთიც წავლოთ; მხოლოდ  
ვის წარმოვადგინა ეს ბილეთი, ან რომელი სა-  
ქმეში იყო, ეს ახლაც არ იციან. შულის ბა-  
რათები ბევრი იყო პოლიციისაში, მაგრამ არ  
წავლათ.

13) Dubois, Voyage... t. I, p. 309, 311.  
14) Страбон, извѣст. стр. 114, 115.  
15) Dubois Voyage... t. II, p. 70, 71.